ყმების მართვით უფლებების შეზღუდვა ვერც სამეფო სამთავროებისა და ვერც კერძო მესაკუთრე „ბატონების“ ქონებრივ მდგომარეობას, რასაკვირველია, ვერ გააუმჯობესებდა: შემოსავალს საგრძნობლად მაინც ვერ გაუდიდებდა. ამიტომ მეტი შემოსავლის მიზნად რაიმე სხვა საშუალება იყო საჭირო. ჩვეულებრივ ასეთ საშუალებად ან ახალი გადასახადების შემოღება, ან და ძველის გადიდება იყო და არის ხოლმე მიღებული. ქართულ საფინანსო პოლიტიკის იმდროინდელს არც მსგავსებულა კერძო შემოსავლებს ამოვიღოთ დასახული მიზნის მიღწევა არ უცდიათ, არამედ სულ სხვა გამოყენებით: ამის მაგიერ მათ საზომ-საწყაოები გაუდიდებიათ. რაკი სულადი გადასახადები, მარცვლეულისა და ღვინის მოსავალზე, კაბინითა (=კოდს) და კოკით იყო განსაზღვრული, თუნდაც რომ გადასახადების ნორმები პურისა, ქრთლისა და ქერის ისევე როგორც ღვინის გამო-საღებზე ძველებზე უფრო და-რწმუნებული იყო, რაკი სა-ზომ-საწყაო გადიდება იყო, გადასახადები სამეფო და სამთავრო საღარიბესაცა და ყმათა მფლობელ კერძო მემამულეებსაც, ცხადია, წინა-დელზე მეტი შეუვიდოდათ.

ექვსჯერ იყო გადიდება. მაშასადამე, მშრომელ ხალხსაც ამ დროს სულადი გადასახადები წინადადებით შედარებით ექვსჯერ უფრო მეტი უნდა გადაეხადა. მარტო ეს გარემოებაც საკმარისია, სხვას ყველაფერსაც რომ თავი დაეხანებოთ, იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად მიიმე იყო ის ტვირთი, რომელიც მაშინ ყმებსა და მინის დამამუშავებელ მოსახლეობას ჰქონდათ საზიდი, და რა საშინელს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ ისინი ამის გამო ჩაცვივდნენ.


რასაკვირველია, წინააღმდეგობის გაუწევლივ, ყმები თავიანთ ასეთს დატვირთულობას ვერ შეურიგდებოდნენ და ბრძოლაც, უეჭველია, იქნებოდა, მაგრამ, იმდროინდელი გადარჩენილი ძეგლების სიმცირის გამო, ცნობები ამის შესახებ არ მოგვეპოვება. მაინც ზოგიერთი მაშინდელი საბუთებიდანაც ჩანს, რომ მომავალში საზომების მებატონეთაგან თვითნებურად გადიდების საშიშროების თავიდან ასაცილებლად ყმებს მათთვის წერილობით ვალდებულება ჩამოურთმევიათ საზომების გამოუცვლელი-სა და გაუდიდებლობის შესახებ. ეს მაინც, უეჭველია, ამ ნიადაგზე ამტყდარი უკმაყოფილებისა და წინააღმდეგობის ანარეკლია.

საქართველოს ეპონისტური დაქვეითება: ფულის გაზრდასა და ალემბიცემობის შემცირება

ყველა ზემოაღნიშნული გარემოების გამო, ცხადია, რომ მაშინდელს საქართველოში მოსახლეობის ქონებრივ-კულტურულ დაქვეითებასთან დაკავშირებით მისი წყაფვით და მყიდველობითი ძალაც საგრძნობლად შემცირებულიყო. ამის გამო, რასაკვირველია, ალემბიცემობაც უნდა დაქვეითებული ყოფილიყო. საგარეო ვაჭრობა, როგორც მოსალოდნელი იყო, მაღალ დაკნინდა. შინაგანი ალემბიცემობაც სახარბილოს ცოტახლა შეიცავდა.

მართალია, როგორც უკანასკნელი ათეულის წლების მონაპოვარ განძებმა ცხადყო, ფულის მოჭრა საქართველოში, იმდროინდელი საშინელი ეკონომიური ვითარებისა და მიუხედავად, თურმე მაინც მთელი XV საუკუნის განმავლობაში არ შეჩერებულა. ეს გარემოება მაინც ფრიად საყურადღებო გარემოებაა, რათა საქართველოს დაქვეითებული სახელმწიფოებრივობისა და ქართველი ხალხის მაინც ეკონომიური ბრძოლის უნარსა და კულტურულ ცხოვრების მონაპოვარა შენარჩუნების ნებისყოფას ცხადად ამჟღავნებს. მაგრამ მაშინდელი საბუთებიდან ჩანს, რომ ლითონის ფული უმთავრესად ბარად და ქალაქებსა თუ სხვა საეჭრო ცენტრებსა და შარაგზების მახლობლად მდებარე ადგილებში ყოფილა გავრცელებული; სხვა მოშორებულ

«სახელმწიფოებრივი ძლიერების ძველი მარაგის მდიდარმა მემკვიდრეობამ და ქართული ხალხის განთქმულმა მამასობამ საქართველოს პოლიტიკური დაქინების ხანაში მას საქართველოს ურთიერთობაში წინააღმდეგი და პატივისცემა შეუნარჩუნა»



„პოლიტიკურად დანაწილებული და სამხედრო თვალსაზრისით დასუსტებული, ორს ძლიერს, მტრულად განწყობილ, მაშინდელს სახელმწიფოს შუამდგომლობის საჭიროებას ნარმოადგენდა: ძველი მამასობის თითქმის გონიერება დაკარგეს და თავიანთი ძველისა და პირადს კეთილდღეობასაც თავიანთივე მოქმედებით აცლიდნენ ნიადაგს“

თემებში კი ფული იშვიათი იყო და იქ ვაჭრობა სულადობაზე, გაცვლა-გამოცვლის წესით უნარმობით. ამასთანავე XV საუკუნეში მოჭრილი ვერცხლის ფული მეტად მდარე ღირსებისა და მცირე ზომისა იყო. მისი ეს თვისებებიც მაშინდელი საქართველოს გაღარიბება-დაქვეითებისთვის დამახასიათებელია. კონსტანტინეპოლის ოსმალთაგან დაპყრობამ და დასავლეთის ზღვის სავაჭრო გზის შეკერამ ევროპასთან ალმოსავლეთის ვაჭრობისა და მიმოსვლის გზების და ცენტრების შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროების ნავთსადგურებში გადატანამაც ხომ საქართველოს ისედაც სავალოლო მდგომარეობა საბედისწერო გახადა...

საქართველოს კულტურული დაქვეითების ნიშნები

პოლიტიკურად დანაწილებული და სამხედრო თვალსაზრისით დასუსტებული, ორს ძლიერს, მტრულად განწყობილ, მაშინდელს სახელმწიფოს შუამდგომლობის საჭიროებას ნარმოადგენდა: ძველი მამასობის თითქმის გონიერება დაკარგეს და თავიანთი ძველისა და პირადს კეთილდღეობასაც თავიანთივე მოქმედებით აცლიდნენ ნიადაგს.

ადამიანის ეგოისტურმა გრძობამა და მხოლოდ პირად გადაარჩინა-კეთილდღეობაზე ზრუნვამ სძლია და თემობრივმა განკერძობებამაც სახელმწიფოებრივისა და ეროვნული მთლიანობის შეგნებას აჯობა.

მაშინდელი საქართველოს კულტურული დაქვეითების მთელი სიღრმე იმაშიც ნათლად მოჩანს, რომ XV საუკუნისა და უფრო ადრინდელი ხელნაწერებში წერისაცა და მართლწერის დიდი უციცობაა საგრძნობი: ზოგიერთს მაშინდელს უცხოეთში გამგზავრებულს პირსაც კი თავისი სახე-ისა და გვარის სწორად დაწერაც კი ალარ შესძლებია. რა გასაკვირველია, რომ ასეთ პირობებში ამ საერთო კულტურული დაქვეითების წყალობით ქართველი მხატვრული და საისტორიო მწერლობაც დადუმებული იყო. ეს კი არ არის გასაკვირველი, არამედ უფრო ის გარემოება, რომ, ამ ჯოჯობით, თური პირობებისა და მიუხედავად, ქართველი ხალხი არ დაიღუპა და მამასობის ცდილობდა, მაშინდელს სახელმწიფოს შუამდგომლობის საჭიროებას ნარმოადგენდა: ძველი მამასობის თითქმის გონიერება დაკარგეს და თავიანთი ძველისა და პირადს კეთილდღეობასაც თავიანთივე მოქმედებით აცლიდნენ ნიადაგს.

თუნდაც ულუმბოს ეკლესიის სარწმუნოებრივი და საერო შინაარსის იმდროინდელი კედლის მხატვრობისა და ალექსანდრე I დიდის ბრძანებით გაკეთებული ნაქები სურათებით შემკული დიდი ოქროს ჯვარის დასახელებაც კმარა, რომელიც მათ შემქმნელ ხელოვანთა იშვიათი ნიჭსა და თავისი დარგის მაღალ ცოდნას უცილობლად ცხადყოფს.

ქართველთა მდგომარეობა უცხო ქვეყნებში

იგივე უნდა ითქვას საქართველოს იმდროინდელს საგარეო მდგომარეობაზე. ყველა იმის შემდგომ, რაც საქართველოს გარეშე და შინაური მტრული დაქვეითების XIII საუკუნიდან მოყოლებული გამოვლილი ჰქონდა, მისი სამხედრო ძლიერების შესუსტება და სახელმწიფოებრივის დაკნინება ბუნებრივად შედეგად ნარმოადგენს და ესეც, აგრეთვე, ნათლად მოჩანს, რასაკვირველია, განმაცვიფრებელი არ არის. პირიქით, გასაკვირველია, რომ ასე დაქვეითებულ-დაკნინებულმა საქართველომ შეინარჩუნა მაინც საერთაშორისო დამოკიდებულებაში ზოგიერთ დარგებში მაშინაც ყოფილან კიდევ ისეთი ნარმოადგენლები, რომელთაც თავიანთი მაღალხარისხიანი შემოქმედების ნიმუშები დაავიციეს. ამის დასაბამებლად

თვალთა მავნებელი მდგომარეობა უცხო ქვეყნებში კარგად არის აღგებ-დილი და იმითავე ირკვევა, რომ ამ ხანაშიც და ისეთ შორულ ქვეყნებშიც, როგორც საქართველოსთვის ეგვიპტე და ალექსანდრე იყო, ქართველებს პატივისცემით ეახრობდნენ და ყველა ის უპირატესობა, რომელიც ახლანდელი წინააღმდეგობით, შეუნარჩუნებიათ. ბართლომე დე სალიანიგო მოგვითხრობს: იერუსალიმში სალოცავად მისვლის დროს ქართველები საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ ცხენებსა და აქლემებზე სხედნ და გაშლილ-აფრიანული ეროვნული დროშებით თავისუფლად შედიოდნენ ქალაქში და სხვებით სულტანს ამისათვის დაწესებულს გადასახადს არ აძლევდნო. სალიანიგო ამასთანავე უმატებს, რომ ეგვიპტისა და ოსმალეთის სულტანებს ქართველებისა ეშინიათ.

დაცულია იმდროინდელი არაბული საბუთიც, რომლითაც ეგვიპტის მამლუკებს განკარგულება ჰქონდათ გაქმეული და ქართველთა იერუსალიმის ჯვარის მონასტრის უზრუნველყოფად საგანგებო არაბი იმდროინდელი წული. ის ვალდებული იყო, საქართველოდან მომავალ მლოცავებს ალაპივე (ალეპოში) აღმზვედროდა, იქიდან იერუსალიმამდის მიეცილებინა და უკან გაბრუნებისას ისევ ნავთსადგურამდე გამოჰყოლოდა. XV საუკუნის მეორე, უკვე სომხური ცნობაც მოგვეპოვება, რომელშიც ქართველთა პოლიტიკური გავლენის მთელი ძალა, აგრეთვე, ნათლად მოჩანს. რა თქმა უნდა, ყველა ესეც უმთავრესად წარსული საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოებრიობის ანარეკლს ნარმოადგენდა. თავის ადგილას, გიორგი V ბრწყინვალის მეფობაში, უკვე გვექნება აღნიშნული, რომ საქართველოს საბარკო მდგომარეობა და წინააღმდეგი უპირატესობანიც სწორად განააღებინა. სახელმწიფოებრივი ძლიერების ძველი მარაგის მდიდარმა მემკვიდრეობამ და ქართული ხალხის განთქმულმა მამასობამ საქართველოს პოლიტიკური დაქინების ხანაში მას საქართველოს ურთიერთობაში წინააღმდეგი და პატივისცემა შეუნარჩუნა.

ივანე ჯავახიშვილი რუბრიკას უძღვება დარჯან ანდრიაძე

**ეს არის
პირველი**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლოებით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურიტ, მკვლელობით, შუღლიტ, ვერაბობით, უხეობითა და მახუზარობით. ცილისმნამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხყოფელნი, ამპარტავენნი, მკვეხარნი, ბოროტგამზარახველნი, მშობლების შრინი.

(მოციქულ პავლეს წერილი რომელთა მიმართ, 1,29-30)



სიჩხვილი ვერ აიტანა და თავი მოიკლა

შოტლანდია: 2 შვილის 27 წლის დედამ ჯენა ჯონსონმა თავი მოიკლა მას შემდეგ, რაც იგი კოლექტიურად გააუპატიურეს, — იუწყება ბრიტანული ტაბლოიდი The Sun.

დანაშაული შარშან დეკემბერში მოხდა. ახალგაზრდა დედა ნარკოტიკებით გააბრუნეს, შემდეგ კი „წრეზე დაატარა“ — მოძალადეებმა რიგობით გააუპატიურეს მისი სახლში. ეს მოხდა ჰაილენდის ოლქის ჩრდილოეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ თარსოში. ეს შემზარავი ამბავი ქალმა მხოლოდ თავის უახლოეს ნათესავებს გაანდო. პოლიციისთვის არ მიუმართავს, — მოძალადეები დაემუქრნენ, რომ აქტის ვიდეორანაწერს სოცქსელებში გაავრცელებდნენ, თუ ინფორმაცია პოლიციელების ხელში აღმოჩნდებოდა.

„ვერ გეტყვი, ეს იყო შანტაჟი თუ ბოროტმოქმედნი მხოლოდ დასცინოდნენ მას, მაგრამ ჯენი გადაირია, შეეშინდა, რომ დაკარგავდა თავის შვილებს, რომლებსთი-

საც თავშენიერი იყო, — უთხრა ჟურნალისტებს გარდაცვლილის დამ ქელსი ჯონსონმა, — ზენოლას ვერ გაუძლო და თავი მოიკლა“.

მეგობრებმა სამართალდამცველებს მოძალადეების გვარები აცნობეს. გაირკვა, რომ ისინი ადრეც იყვნენ შემწნეული სხვადასხვა სახის დანაშაულში.

„პოლიციაში გვაცნობეს, რომ ვერავითარი ვიდეორანაწერს ვერ იპოვეს. ვერ „გახსენეს“ ჯენის ტელეფონი, რადგან ვერ გაშიფრეს პინკოდი“, — თქვა ქელსიმ.

„იძულებული ვიყავი, დამესაფლავებინა ჩემი შვილი მისი დაბადების დღიდან ორი კვირის შემდეგ. ჩვენი ცხოვრება უწინდელი აღარ იქნება, გამოცარიელდა“, — განაცხადა გაუბედურებულმა დედამ.



ვნებაუცხვარი «ბუღდოგი» დააპატიმრეს

დიდ ბრიტანეთში 38 წლის პოლიციელმა პიტერ დრამონდმა, რომელიც ანტიტერორისტული ქვედანაყოფის თანამშრომელია, გააუპატიურა 14 წლის მოსწავლე გოგონა, — იუწყება ტაბლოიდი The Sun.

პოლიციელის მეტსახელია „ბუღდოგი“.

დანაშაული „ბუღდოგმა“ 2017 წლის ნოემბერში ჩაიდინა. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ იგი გოგონას ოთახში ფანჯრიდან გადაძვრა და მხეცურად გააუპატიურა. მშობლები იმ დროს შინ არ იყვნენ. შემინებულ და გაოგნებულ გოგონას მომხდარის შესახებ არაფერი უთქვამს, მაგრამ ახლობლებმა შეამჩნიეს, რომ ხასიათი შეეცვალა. ერთი თვის შემდეგაც პოლიციელმა იგივე გაიმეორა. ამჯერად გო-

გონამ ხმა ამოიღო და მშობლებს გაანდო თავისი უბედურება. დედამამ პოლიციას მიმართა.

2017 წლის დეკემბერში „ბუღდოგი“ დააპატიმრეს, საქმის გამოძიება ახლახან დასრულდა. სამართალში მიცემულმა დაადასტურა, რომ სექსუალურ ურთიერთობას მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ურთიერთთანხმობით და დაზარალებულმა თითქოს უთხრა მოძალადეს, რომ 17 წლისა იყო. გოგონა უარყოფს. პოლიციელი ამბობს, რომ სექსუალური კონტაქტის შემდეგ მან გოგონას „საჩუქარი“ მიართვა, ანგარიშზე 30 ფუნტი გადაურიცხა. ამ ფულით გოგონამ ახალი ფეხსაცმელი იყიდა, რაც, მამაკაცის აზრით, ადასტურებს, რომ ძალადობას ადგილი არ ჰქონია.

ნეოლიბერალური შენეობა

ქალბატონმა ახალგაზრდა კახი გააუპატიურა

თურმე ასეც შეიძლება მოხდეს! შოტლანდიის ქალაქ გლაზგოს მკვიდრ 40 წლის ქალბატონს „შემოეხარჯა“ 27 წლის ახალგაზრდა კაცი ცოტა უცნაურ სიტუაციაში, — იუწყება ბრიტანული ტაბლოიდი The Sun. ქალს პატიმრობა ემუქრება.

გაზეთი წერს, რომ ინციდენტი 2016 წელს მოხდა, მაგრამ საქმემ მხოლოდ ახლა მიანდინა სასამართლომდე.

ორი შვილის დედამ და მისმა მსხვერპლმა ერთმანეთი სასიამოვნო შეკრებაზე გაიცნეს. რამდენიმე საათის შემდეგ კი გვარინად შეზარხოშებულნი ერთ-ერთი მეგობრის ბინაში განცალკევდნენ. კაცს უმაღლე ჩაეძინა. ქალმა კი დრო იხელთა და მძინარეს სახლში ჩაუფორდა. შემდეგ რაც მოხდა ამ „ორთაბრძო-

ლის“ დროს, ორივეს თავისი ვერსია აქვს. ქალი აცხადებს, რომ იყო ორმხრივი თანხმობა, კაცი საინაღმდეგოს ამტკიცებს.

ქალბატონის ვერსიით, „მან (კაცმა) აიღო ტელეფონი და დარეკა — ტაქსი უნდა გამოვიძახო, შინ უნდა წავიდეთ“. აღელვებული იყო და პანიკას ჰყავდა შეპყრობილი. ეშინოდა, რომ მისი საცოლე შეიტყობდა ლალატის ამბავს. ვურჩიე საცოლისთვის მოეთხოო სიმართლე ან არაფერი ეთქვა“.



კაცის ვერსიით, იგი მთვრალი იყო და ვერ არკვევდა, რაც ხდებოდა მის თავს.

სიმართლეს შოტლანდიის უდიდესი ქალაქის — გლაზგოს სასამართლო გაარკვევს.

«მიგრაციული კრიზისის» ლოგიკური შედეგი

რეგიონული გამოცემა Passauer Nere Presse იუწყება, რომ შარშან ივლისში ავღანელმა მიგრანტებმა ბავარიის ქალაქ აუგსბურგში 15 წლის ქალიშვილი გააუპატიურეს.

ეს ისტორია ზემოთ მოთხრობილ ისტორიას ჰგავს: ქალიშვილი შემთხვევით გაცნობილ მიგრანტებს ლტოლვილებისთვის განკუთვნილ საერთო საცხოვრებელში ეწვია, სადაც (შესაძლოა, არცთუ ნებაყოფლობით) მოიხმარა ნარკოტიკები. მოგვიანებით იგი ნახევრად უგონო მდგომარეობაში მყოფი და მიყენებული ძალადობის ნიშნებით გამვლულმა ქუჩაში იპოვეს და საავადმყოფოში მიიყვანეს.

პოლიციამ ჩაატარა „ბიოლოგიური ნიმუშების“ დნმ-ის ურთულესი ექსპერტიზა და შარშან, 12 დეკემბერს, ამ ექსპერტიზის შედეგების საფუძველზე დააკავეს გაუპატიურების მონაწილეები. ისინი შუა აღმოსავლეთიდან არიან, მათი ასაკი 18-დან 20 წლამდეა.

ამბობენ, ამ ბანდის მსხვერპლი მარტო



ეს გოგო არ არის, სხვებიც უნდა იყვნენო. ამ შემთხვევის დეტალებს, ისევე, როგორც დაზარალებულის და დამნაშავეთა ვინაობას, ტრადიციულად არ აცხადებენ ბავშვთა პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით.

„მიგრაციული კრიზისი“ გერმანიაში მიგრანტების ჩამოთესვის შემდეგ დაიწყო. ამ ანომალიის ნიშანდღე გამოდის 2013 წელს ჩამოყალიბებული არასისტემური პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“, რომელმაც 2017 წლის ბუნდესტაგის არჩევნებში სენსაციური მესამე ადგილი დაიკავა.

ახლოდგოსავლეთელმა მიგრანტებმა ფინეთში თავი აიხვეს



ჯგუფური გაუპატიურების ეს ფაქტი ფინეთის ქალაქ ლუში მოხდა. სამართალდამცველთა მონაცემებით, მიგრანტებმა 15 და 17 წლის გოგონებზე იძალადეს. დანაშაული გასული კვირის უქმედებებში ერთ-ერთ კერძო ბინაში მოხდა. ცხელ კვალზე მხოლოდ ერთი დამნაშავეს დაკავება შეძლეს: „ეს უცხოელი წლების განმავლობაში ცხოვრობდა ფინეთში“, — აღნიშნავენ სამართალდამც-

ველები. ამ ქალაქში უკვე 9 ასეთი შემთხვევა აღირიცხა. ახლახან კი გაუპატიურება ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში მოხდა. დამნაშავეთა უმეტესობა ქვეყანაში ახლო აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან ჩავიდა. გაირკვა, რომ მოძალადეთაგან ზოგიერთს უკვე მიღებული აქვს ფინეთის მოქალაქეობა. ამ სახის დანაშაულების გამოძიება გრძელდება.



„ვფიქრობ, მთელმა ქვეყანამ უნდა იცოდეს, ამ შესაძლო მოვლენების შესახებ... ქალას არ დავიშურებ, რათა გავარკვიო ის მიზეზები, რომლებიც ამოძრავებდა იუსტიციის სამინისტროსა და გამომძიების ფედერალურ ბიუროს პრეზიდენტ ტრამპის წინააღმდეგ“, — განაცხადა ბრემმა პროგრამა FACE THE NATIONAL-ის ეთერში. ამ განცხადებით სენატორი მას შემდეგ გამოვიდა, რაც გამომძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის მოადგილე ენდრიუ მაკეიბმა აღიარა, რომ აშშ-ის გენერალური პროკურორის მოადგილე როდ როზენსტაინთან ერთად განიხილავდა ტრამპის გადაყენების საკითხს კონსტიტუციის 25-ე შესწორების საფუძველზე. ცნობილი შეიქნა, აგრეთვე, რომ როზენსტაინი მალე დატოვებს იუსტიციის სამინისტროს და კავებულ თანამდებობას. ექსპერტების აზრით, ტრამპის მთავრობაში დღემდე მუშაობენ მოხელეები, რომლებიც ბარაკ ობამასგან მემკვიდრეობით მიიღეს, და რომლებიც მზად არ არიან, მხარი დაუჭირონ რესპუბლიკელების პოლიტიკურ კურსს.

გამომწვევი ბრალდება

აშშ-ში აპირებენ, დაიწყონ საქმის გამოკვლევა იუსტიციის სამინისტროსა და გამომძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომელთა წინააღმდეგ, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ „ბიუროკრატიული გადატრიალება“ და აშშ-ის პრეზიდენტობიდან დონალდ ტრამპის ჩამოცილება. ეს განაცხადა აშშ-ის სენატის იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელმა, რესპუბლიკელმა ლინდსი გრემმა.

გამომძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის მოადგილე ენდრიუ მაკეიბმა აღიარა, რომ აშშ-ის გენერალური პროკურორის მოადგილე როდ როზენსტაინთან ერთად განიხილავდა ტრამპის გადაყენების საკითხს კონსტიტუციის 25-ე შესწორების საფუძველზე. ცნობილი შეიქნა, აგრეთვე, რომ როზენსტაინი მალე დატოვებს იუსტიციის სამინისტროს და კავებულ თანამდებობას. ექსპერტების აზრით, ტრამპის მთავრობაში დღემდე მუშაობენ მოხელეები, რომლებიც ბარაკ ობამასგან მემკვიდრეობით მიიღეს, და რომლებიც მზად არ არიან, მხარი დაუჭირონ რესპუბლიკელების პოლიტიკურ კურსს.

ამ საკითხზე ტელეარხი CBS-ის ეთერში სენატის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ლინდსი გრემმა ილაპარაკა. „ვფიქრობ, მთელმა ქვეყანამ უნდა იცოდეს ამ შესაძლო მოვლენების შესახებ... ქალას არ დავიშურებ, რათა გავარკვიო ის მიზეზები, რომლებიც ამოძრავებდა იუსტიციის სამინისტროსა და გამომძიების ფედერალურ ბიუროს პრეზიდენტ ტრამპის წინააღმდეგ“, — განაცხადა გრემმა პროგრამა Face the National-ის ეთერში.

ამ განცხადებით სენატორი მას შემდეგ გამოვიდა, რაც გამომძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის მოადგილე ენდრიუ მაკეიბმა ტელეეთერში ილაპარაკა გენერალური პროკურორის მოადგილე როდ როზენსტაინთან ერთად ტრამპის წინააღმდეგ კონსტიტუციის 25-ე შესწორების შესაძლო ამოქმედების შესახებ. მაკეიბის თქმით, როზენსტაინმა დაასახელა მინისტრთა კაბინეტის წევრებისა და უწყებათა ხელმძღვანელების სავარაუდო რაოდენობა, რომლებიც მზარს დაუჭერენ აღნიშნულ ინიციატივას.

სენატორმა გრემმა თქვა, რომ მისი, როგორც იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის, უფლებამოსილება საშუალებას აძლევს, დაიწყოს გამოკვლევა „ბიუროკრატიული გადატრიალების“ მცდელობის ფაქტზე და აიძულოს მაკეიბი და როზენსტაინი, მისცენ ჩვენება ფიცის ქვეშ. „ჩვენ შევითვალთ, რა მოხდა სინამდვილეში. ამის ერთადერთი საშუალებაა, გამოვიძიოთ ეს ადამიანები დასავლეთსა და დასავლეთში, მათგან რომელი ლაპარაკობს სიმართლეს, რადგან ბრალდება გამაგნებელია“, — დასძინა ლინდსი გრემმა.

ამერიკული მედია იუწყება, რომ როზენსტაინი, რომელიც იუსტიციის სამინისტროში აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებში რუსეთის ფედერაციის შესაძლო ჩარევის საკითხს კურირებს, მარტში დატოვებს დაკავებულ თანამდებობას.

ცოტა ხნის წინათ უწყების ხელმძღვანელი შეიცვალა — იუსტიციის მინისტრი უილიამ ბარო გახდა.

რესპუბლიკელების პასუხი

გამომწვევა, რომლის შესახებაც განაცხადა გრემმა, ერთი მხრივ, შეიძლება შევაფასოთ, როგორც რესპუბლიკელების პასუხი დემოკრატების ნაბიჯებზე, რომლებსაც ისინი წლების განმავლობაში დგამენ აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებში „რუსული კვალისა“ და მოსკოვთან ტრამპის შესაძლო „კავშირის“ გამოძიების პროცესში.

კონსტიტუციის 25-ე შესწორება იძლევა პრეზიდენტის გადაყენების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ ვიცავრეზიდენტი და მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პრეზიდენტს აღარ ძალუძს დაკისრებული მოვალეობის შესრულება, მაგალითად, ფიზიკური ან სულიერი აპლილოზის გამო.

ამ ნორმის ამოქმედების შესახებ პირველად ალაპარაკდნენ შარშან, სექტემბერში, როცა გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნდა ანონიმური (სარედაქციო!) წერილი სათაურით „მე — ტრამპის ადმინისტრაციის შიგნით წინააღმდეგობის წევრი“, რომლის ავტორად ასახელებდნენ თეთრი სახლის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის მოხელეს. წერილის ავტორი ამტკიცებდა, რომ მინისტრთა კაბინეტის წევრთა შორის არიან გავლენიანი ფუნქციონერები, რომლებიც მზად არიან, გამოიყენონ აღნიშნული შესწორება, რათა გადააყენონ ტრამპი იმპიჩმენტის აუთოქმედებლად.

რამდენიმე კვირის შემდეგ „ნიუ იორკ თაიმსმა“ და „ვაშინგტონ პოსტმა“ გაავრცელეს ინფორმაცია, რომლის თანახმად, აშშ-ის გენერალური პროკურორის მოადგილე როზენსტაინმა 2017 წელს თითქოს წამოაყენა წინადადება, ფარულად ჩაენერათ დონალდ ტრამპის საუბრები. იგი ვარაუდობდა, რომ ასე შეძლებდა, დაემტკიცებინა პრეზიდენტის ქმედუწიარობა, რომელიც პრეზიდენტის გადაყენების საფუძველი გახდებოდა. როზენსტაინი ამ ბრალდებას უარყოფს. გამომძიების ფედერალური ბიუროს უფროსის ყოფილი მოადგილე მაკეიბი აცხადებს, რომ ამ თემაზე საუბარი როზენსტაინთან მართლაც ჰქონდა.

მედიკონიკური მიზეზები

ტრამპის გარემოცვასა და მთავრობაში არის მოხელეების მთელი სექტორი, რომელიც მის წინააღმდეგ მუშაობს. ისინი ამერიკის სახელისუფლო სისტემაში, დიდი ხანია, საქმიანობენ, უმეტესობას ტრამპის შეხედულებებისგან განსხვავებული პოზიცია უკავია. ამ მიზეზის გამო პრეზიდენტი იძულებულია, ხშირად განახორციელოს ცვლილებები თავისი გარემოცვის უმაღლეს დონეზე, მაგრამ პრობლემა აპარატის საშუალო დონეზე ფესვადგმული და სწორედ აქ დასაქმებული მოხელეები მუშაობენ ამერიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ. სპეც-

რესპუბლიკელები ტრამპის წინააღმდეგ «ბიუროკრატიულ შეთქმულებას» საუბარავენ

ტრამპის ბარემოსვასა და მთავრობაში არის მოხელეების მთელი სექტორი, რომელიც მის წინააღმდეგ მუშაობს



დიდი ხანია, ისინი ამერიკის სახელისუფლო სისტემაში საქმიანობენ, უმეტესობას ტრამპის შეხედულებებისგან განსხვავებული პოზიცია უკავია. ამ მიზეზის გამო პრეზიდენტი იძულებულია, ხშირად განახორციელოს ცვლილებები თავისი გარემოცვის უმაღლეს დონეზე, მაგრამ პრობლემა აპარატის საშუალო დონეზე ფესვადგმული და სწორედ აქ დასაქმებული მოხელეები მუშაობენ ამერიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ.

სამსახურების, მაგალითად, გამომძიების ფედერალური ბიუროს, და, აგრეთვე, იუსტიციის სამინისტროს პირადი სამსახურების უმრავლესობა ტრამპს ბარაკ ობამასგან „მემკვიდრეობით“ ერგო, — აღნიშნავენ პოლიტოლოგები. თეთრი სახლის ადმინისტრაციის, მთავრობის უახლოესი გარემოცვის თანამშრომლების რაოდენობა თითქმის სამი ათასი ადამიანია. ინიშნებიან მხოლოდ ხელმძღვანელები და პირველი პირები, ხოლო მეორე ეშელონი უმეტესად მემკვიდრეობით გადა-

დის. ორი წელიწადი საკმარისი არ არის სიტუაციის გასამართლებლად. როცა ბარაკ ობამას შემდეგ პრეზიდენტად მომხრეობდა მისი მოლოდინი, როგორც ტრამპია, ადგილზე დარჩენილი თანამშრომლების წინააღმდეგობა შეიძლება ძალიან დიდი იყოს“, — განაცხადა ექსპერტებმა.

მედიკონიკური მიზეზები
ვითარება ისიც ამწვევებს, რომ იუსტიციის სამინისტროს

ყველა დასახელებულ თანამშრომელს შეეხება აქვს სპეცპროკურორ რობერტ მიულერის გამოძიებასთან, რომელიც ტრამპის „კავშირის“ ეხება. მაგალითად, როდ როზენსტაინმა ხელი მოაწერა და გამოძიების დაწყების განკარგულებას, ხოლო გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის ყოფილი მოადგილე თანამდებობიდან გაათავისუფლეს 2018 წლის მარტში ინფორმაციის გაჟონვისა და ყალბი მონაცემების წარდგენის ბრალდებით.

გამომძიების ფედერალური ბიუროს წამყვანი აგენტები პიტერ სტრუოკი და ლიზა ფეიჯი, რომლებიც მან გამოძიებაში ჩართო, ჯერ ჩამოაცილეს საქმეს, შემდეგ კი სახელმწიფო სამსახურიდან დაითხოვეს ტრამპის წინააღმდეგ აკვიტებული აზრისა და თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის მის წინააღმდეგ გამოყენების მცდელობის გამო.

ალეკსანდრა კარაკოვი, ირინა ტარანი



**ყველაზე
ყველაზე...**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული საათი ბრენდ LAEGER — LECOULTRE-ს ეკუთვნის, რომელიც JOAILLENE MANCHETTE-ს ნაწილია. ეს საათი დამზადებულია სამაჯურის სახით. ძირითადი მასალაა სუფთა თეთრი ოქრო, რომელიც ინკუსტრირებულია ონიქსის 11 ქვითა და 576 ბრილიანტით. პატარა ზომის ციფერბლატი კი დაფარულია საფირონის მინით.

ბრუნის სულთნის უმცროსმა ძმამ თავის დროზე 5,2 მლნ დოლარი გადაიხადა ძვირფასი ქვებით განწყობილ 10 საათში. თუ თქვენზე ამ გულუხვობამ შთაბეჭდილება მოახდინა, იცოდეთ, რომ სულთნის ძმა არც ისეთი ხელგაშლილია. მსოფლიოში არის საათები, რომელთა ერთი ეგზემპლარი 10-ჯერ ძვირად ფასობს იმ საათებზე, რომლებიც ახლო აღმოსავლელმა არისტოკრატმა შეიძინა. პოპულარულმა ჟურნალმა ELLE-მ აარჩია პლატინითა და ბრილიანტებით შექმნილი 10 უძვირფასესი საათი.



№1. JOAILLENE MANCHETTE, 26 ჯეზ დოლარი

მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული საათი ბრენდ Laeger - LeCoultre-ს ეკუთვნის, რომელიც JOAILLENE MANCHETTE-ს ნაწილია. ეს საათი დამზადებულია სამაჯურის სახით. ძირითადი მასალაა სუფთა თეთრი ოქრო, რომელიც ინკუსტრირებულია ონიქსის 11 ქვითა და 576 ბრილიანტით. პატარა ზომის ციფერბლატი კი დაფარულია საფირონის მინით.



№2. 201-CARAT CHOPARD, 25 ჯეზ დოლარი

კიდევ ერთი საათი-სამაჯური — ხელოვნების ნამდვილი ნიმუში და ავტორთა ფანტაზიის ზენიტი. წარმოიდგინეთ პატარა ციფერბლატი, რომელიც დახუნძლულია ძვირფასი ქვებით. სამი მთავარი ქვაა თეთრი, ცისფერი და წითელი ფერის გულის ფორმის ბრილიანტები. მათი საერთო წონაა 38 კარატი. სულ კი ამ საათზე ძვირფასი ქვები 200 კარატს ითვლის.



№3. PATEK PHILIPPE'S SUPERCOMPLICATION, 11 ჯეზ დოლარი

საათების ხელოვნების ეს შედეგია 87 წლისა. დაამზადეს 1932 წელს ამერიკელი კოლექციონერისა და ბანკირის, ჰენრი გრეივ-ზის, შეკვეთით. ამ ჯენტლმენმა მოისურვა, კოლექციაში ჰქონოდა ტექნიკურად ყველაზე სრულყოფილი საათი. ამ შეკვეთაზე PATEK PHILIPPE 5 წლის განმავლობაში მუშაობდა. შრომის შედეგი — ეს არის 900 დეტალისგან შექმნილი კონსტრუქცია, კორპუსი დამზადებულია 18-კარატიანი ოქროსგან, ციფერბლატი დაფარულია ვერცხლით, ხოლო ისრების ფონისა და დანაყოფებისთვის ციფერბლატში გამოყენებულია ღამის ცის სურათი.

10 ყველაზე ძვირად ღირებული საათი მსოფლიოში



№4. PATEK PHILIPPE CALIBER, 89, 5 ჯეზ დოლარი

1989 წელს სახელგანთქმულ შვეიცარიულ ბრენდს 150 წლის-თავი უნდა ეზეიმა. ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად კომპანიის ოსტატებმა გადანიჭეს, ძვირფასი ლითონებისგან შექმნილ ტექნიკური თვალსაზრისით ყველაზე რთული საათი და ეს მათ გამოუვიდათ. მუშაობა დაიწყო ოუბილეზე რამდენიმე წლით ადრე და საათის დამზადებას 9 წელიწადი დასჭირდა. სულ დამზადებულია 4 ეგზემპლარი — ყვითელი ოქროსგან, ვარდისფერი ოქროსგან, თეთრი ოქროსა და პლატინისგან.



№5. PATEK PHILIPPE PLATINUM WORLD TIME, 4 ჯეზ დოლარი

17 წლის წინათ ეს მოდელი აუქციონზე გაიყიდა იმ მომენტისთვის სარეკორდო ფასად — 4 მლნ დოლარად. აღსანიშნავია, რომ გარეგნულად „პლატინის მსოფლიო“ არც ისე მდიდრულად გამოიყურება. ყოველ შემთხვევაში ბრილიანტებით დახუნძლული არ არის, სამაგიეროდ მბრუნავი პანელი საშუალებას იძლევა, განისაზღვროს დრო მსოფლიოს 41 ქალაქში. თანაც ეს PATEK PHILIPPE-ს საათია, ბრენდის, რომლის პროდუქცია მსოფლიოს 10 ყველაზე ძვირად ღირებული საათების სიაში ყოველთვის ხვდება.



№6. LOUIS MOINET „METEORIS“, 3,6 ჯეზ დოლარი

METEORIS — ეს LOUIS MOINET-ის კონცეფციური ნიმუშია, ასე ვთქვათ, სუბბრენდი, რომელმაც ამ საათის მხოლოდ 4 ეგზემპლარი დაამზადა. თითოეულის შიგნით მეტეორიტის ნაწილაკია: ერთში — დედამიწაზე ჩამოვარდნილი მარსის კლდის ნატეხი; მეორეში — მზის სისტემის უძველესი მეტეორიტის ნაწილაკი; მესამეში — ასტეროიდ Ttaly-ს ნატეხი; მეოთხეში კი — მთვარის მეტეორიტის ნაწილი. მეტეორიტის ნაწილაკები ოქროს კორპუსშია ჩასმული.



№7. PIAGET EMPERADOR TEMPLE, 3,3 ჯეზ დოლარი

შვეიცარიელები კომპანია PIAGET-დან განთქმული არიან არა მხოლოდ როგორც მესაათები, არამედ როგორც იუველიერები. გასაკვირი არ არის, რომ 2010 წლის მოდელი შეიძლება სამაჯური გეგონოთ. თანაც საათზე იმდენი ძვირფასი ქვაა, რომ მართლაც ჰგავს სამკაულს. საათის კორპუსს 688 ბრილიანტი ამშვენებს, სამაჯურს — 350. ციფერბლატი მორთულია 173 ქვით. PIAGET-ის ეს ქმნილება სულ 2 ეგზემპლარია.

№8. FRANCK MULLER AETERNITAS MEGA 4, 2,4 ჯეზ დოლარი

2009 წლის შემოდგომაზე ამერიკელმა კოლექციონერმა მაიკლ გოულდმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღო — არა უფასო, არამედ დიდი ხნის ნანატრი. FRANCK MULLER-ის წარმომადგენლებმა მისთვის დაამზადეს უცნაური ფორმის საათი — AETERNITAS MEGA 4 — ურთულესი საათის აგრეგატი. მის შექმნას 6 წელი დასჭირდა. შედეგი — 18 ისარი, 5 დისკო, პლატინის მიკროძრავა, აგრეთვე, მუდმივი კალენდარი, რომელიც არასდროს ჩამორჩება და არც წინ წავა.



№9. PARMIGIANI FLEURIER FIBONACCI, 2,4 ჯეზ დოლარი

ამ მოდელის შექმნას 2 წელიწადი დასჭირდა. ეს საათი შექმნილია თეთრი ოქროსგან, ინსტრუირებულია ლოტოსის ყვავილით, რომელიც მათემატიკოს ფიბონაჩის ოქროს კვეთის პრინციპს ასახავს. ყვავილიც, რა თქმა უნდა, უბრალო არ არის — დაფარულია ძვირფასი ქვებით, რომელთა საერთო წონა 50 კარატი. რა არის კიდევ ამ საათში? — მუდმივი კალენდარი და მთვარის ფაზების მანევრები.



№10. RICHARD MILLE TOURBILLON RM 56-02 SAPPHIRE, 2 ჯეზ დოლარი

უფრო ზუსტად, ეს მოდელი 2 მლნ 20 ათასი დოლარი ღირს. ასეთი სიძვირის მიზეზი არის კონსტრუქციის მასალები. საათის კორპუსი დამზადებულია საფირონის მინისგან, ისევე, როგორც ზოგიერთი დეტალი. წყალგამტარობა განსაცვიფრებელია — 30 მეტრამდე, და მიუთითებს აწყობის უმაღლეს სიზუსტეზე.





VIII ოლიმპიადაზე პარიზში წერიმ ტრიუმფალურ წარმატებას მიაღწია. იქ მან 5 ოქროს ოლიმპიური მედალი მოიპოვა. ოლიმპიადის ერთ-ერთი დღე წერიმს იყო — ამ დღეს დანიშნული იყო შაჯიჯრაბა 1500 და 5000 მეტრ დისტანციებზე. თვითმხილველები ყვეაოდნენ, რომ უკვე წინასწარი გარბენისას 1500 მ-ზე, ფინელმა მორბენალმა განაცვიფრა მაყურებელი. ის გარბოდა ისე, თითქოს ვარჯიშზეაო, ხელში ეჭირა ქრონომეტრი, რომელსაც ყოველი წრის შემდეგ დაჰყურებდა, და მაინცდამაინც არ ჩქარობდა. მხოლოდ ბოლო 200 მეტრზე ჩართო მაქსიმალური სიჩქარე, მოსწყდა დანარჩენ მორბენალებს და ფინიშზე პირველი მივიდა.

მსოფლიოში იყვნენ შესანიშნავი სტაიერები, მათ შორის, ჩეხი ემილ ზატოპეკი და რუსი ვლადიმერ კუცი, მაგრამ წერიმს მსგავსი არავინ ყოფილა. მან 22 მსოფლიო რეკორდი დაამყარა, თანაც სხვადასხვა შეჯიჯრებში და სხვადასხვა დისტანციებზე: 1500 მ-ზე, 1 მილზე, 2000 მეტრზე, 3000 მეტრზე, 2 მილზე, 3 მილზე, 5000 მეტრზე, 4 მილზე, 5 მილზე, 6 მილზე, 10 000 მეტრზე, 15 000 მეტრზე, 10 მილზე, 20 000 მეტრზე; ამას გარდა, 1 საათის ხანგრძლივობით სირბილში და ესტაფეტაში ფინეთის ნაკრების რიგებში...

წერიმ პირველი რეკორდი 10 000 მეტრზე დაამყარა 1921 წელს, ხოლო 2 მილზე — 10 წლის შემდეგ, როცა 34 წლის იყო. მონაწილეობდა 3 ოლიმპიურ თამაშებში და მოიპოვა 9 ოქროსა და 3 ვერცხლის მედალი.

ტურისტებს, რომლებიც ფინეთის ქალაქ ტურკუში ჩადიან, ექსკურსიამძღოლები ათვალიერებინებენ პარკს, რომელშიც ახალგაზრდობაში ვარჯიშობდა დიდი ფინელი მორბენალი ჰაავო წერიმი. ის იყო ღარიბი ოჯახის მეორე შვილი. ჰაავოს მამა იოჰანი ოჯახს ჯერ ფერმერობით არჩენდა, შემდეგ — დურგლობით.

ჰაავო წერიმ ბავშვობაში გადარწმუნდა, სახელგანთქმული მორბენალი გამოსულიყო, ისეთი, როგორც იმხანად იყო სტოკჰოლმის ოლიმპიადის ჩემპიონი ჰანს კოლმანი-6661. ამისათვის კი ბავშვობიდანვე იკაფებდა სხეულს, სწავლობდა სირბილების დაძლევის და ყოველდღე დარბოდა რამდენიმე კილომეტრს. მან მწვრთნელის გარეშე, თვითონვე შეიმუშავა ვარჯიშების სისტემა და არასოდეს გადაუხვევია დასახული მიზნისკენ მიმავალი გზიდან.

13 წლის წერიმს სკოლის ჩემპიონი გახდა კროსში. 1918 წელს, როცა არმიამ მსახურობდა, საჯარისო შეჯიჯრებში მოიგო კროსი 20 კმ-ზე. თვით ამ ფაქტში გასაკვირი არაფერი იქნებოდა, ჰაავოს ნახევარი საათით რომ არ ეჯობნა მეორე ადგილზე გასულს სტისისთვის. მორბენალი ჯარისკაცი-ფენომენის შესახებ იმხანად ბევრმა ფინურმა გაზეთმა დანერა.

2 წლის შემდეგ ის უკვე ანტიკერპენში იყო ოლიმპიადაზე, სადაც 1 მსოფლიო ომის შემდეგ 29 ქვეყნის 2 607 სპორტსმენი შეიკრიბა. სხვათა შორის, სწორედ იქ, ბელგიის საპორტო ქალაქში, პირ-

ველად აღიმართა ოლიმპიური ალაში 5 სხვადასხვა ფერის ერთმანეთზე გადაჯაჭვული რგოლებით, სტადიონზე კი პირველად გაისმა ოლიმპიური ფიცი.

VII ოლიმპიადაზე წერიმს რეკორდები არ დაუმყარებია, თუმცა ოქროს მედალები მოიპოვა 10 000 მეტრზე და 8000 მეტრზე დისტანციებზე სირბილში (8000 მეტრ დისტანციაზე წერიმ გაიმარჯვა, როგორც პირად, ის გუნდურ შეჯიჯრებში), მაგრამ ორი ოლიმპიადის შუალედში წერიმ მსოფლიო რეკორდი დაამყარა, როგორც 10 000 მ, ისე 5 000 მ დისტანციაზე (პირველი რეკორდი — 1921 წელს, მეორე — 1923 წელს).

VIII ოლიმპიადაზე პარიზში წერიმ ტრიუმფალურ წარმატებას მიაღწია. იქ მან 5 ოქროს ოლიმპიური მედალი მოიპოვა. ოლიმპიადის ერთ-ერთი დღე წერიმს იყო — ამ დღეს დანიშნული იყო შეჯიჯრება 1500 და 5000 მეტრ დისტანციებზე. თვითმხილველები ყვეაოდნენ, რომ უკვე წინასწარი გარბენისას 1500 მ-ზე ფინელმა მორბენალმა განაცვიფრა მაყურებელი. ის გარბოდა ისე, თითქოს ვარჯიშზეაო, ხელში ეჭირა ქრონომეტრი, რომელსაც ყოველი წრის შემდეგ დაჰყურებდა და მაინცდამაინც არ ჩქარობდა. მხოლოდ ბოლო 200 მეტრზე ჩართო მაქსიმალური სიჩქარე, მოსწყდა დანარჩენ მორბენალებს და ფინიშზე პირველი მივიდა. ასევე იოლად მოიგო წერიმ ამ დისტანციის საფინალო გარბენი, თანაც ოლიმპიური რეკორდი დაამყარა. ერთი საათის შემდეგ კი ალფრედოვანებელი სტადიონის თვალწინ ასეთივე სიმსუბუქით მოიპოვა ოქროს მედალი 5000 მ დისტანციაზე — ისევე ოლიმპიური რეკორდით. მეორე დღეს, როცა კროსი 10 000 მ დისტანციაზე უნდა გამარბულიყო, პარიზში საშინელი

მორბენალი ფინელი



ჰაავო წერიმი ფინელის ეროვნული სიამაყეა. კელსინის ერთ-ერთი ღირსესანიშნავი და დიდებული მორბენალი სპორტსმენი, რომელიც ჰაავო წერიმს სიცოცხლეშივე დაუდგეს — ასეთი პატივი ბევრს არ რგებია. ეს სკულპტურა 1924 წელს შექმნა ფინელმა მოქანდაკე ვანე აალო-ტონენმა.

სიცხე იდგა. გარბენში მონაწილეობდა 10 ქვეყნის 38 სპორტსმენი, მაგრამ აუტანელი სიცხის გამო ნახევარზე მეტმა შეწყვიტა ასპარეზობა. ფინიშზე მივიდა 15 სპორტსმენი, მათგან პირველი იყო ჰაავო წერიმი. აქ მან ორი ოქროს მედალი მიიღო — პირად და გუნდურ ჩათვლაში. კიდევ ერთი ოქროს მედალი ფინელმა მორბენალმა 3000 მ დისტან-

ციაზე სირბილში მოიპოვა. პარიზის ოლიმპიადის შემდეგ წერიმი მიიწვიეს შვედეთში შტატებში. ქვეყანას, რომელიც ამაყობდა თავისი მძლევანობის სკოლით, უნდოდა, ენახა, რას წარმოადგენდა ეს ევროპელი, რომელსაც 8 ოლიმპიური მედალი ჰქონდა მოპოვებული ორი ოლიმპიადაზე. და წერიმ ამერიკელი მაყურებლის თვალწინ დაამარცხა ამ ქვეყნის მორბენლები სხვადასხვა დისტანციაზე.


თავისი ბოლო ოლიმპიური ოქროს მედალი წერიმი მოიგო IX ოლიმპიურ თამაშებზე ამსტერდამში 1928 წელს 10 000 მ დისტანციაზე (ახალი ოლიმპიური რეკორდით). ამ ოლიმპიადაზე დაუმატა მან თავის ურიცხვ ჯილდოს ორი ვერცხლის მედალი — 5000 მ და 3000 მ დისტანციებზე წინააღმდეგობით სირბილში.

55 წლის წერიმი კიდევ ერთი ოლიმპიადის მონაწილე იყო, ამჯერად — საპატიო მონაწილედ. 1952 წელს XV ოლიმპიური თამაშები ფინეთში ჩატარდა და ოლიმპიური ცეცხლი წერიმ აანთო. როდესაც ის ოლიმპიური სტადიონის სარბენ ბილიკზე ანთებული ჩირაღდნით ხელში გამოჩნდა, 40 ათასი ადამიანი ფეხზე წამოდგა და მხურვალედ მიესალმა დიდ სპორტსმენს. მანამდე კი ოლიმპიური ჩირაღდანი წერიმის გადასცა მეორე ოლიმპიურმა ჩემპიონმა — ჰანს კოლმანი-6661.

სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ წერიმი წარმატებით უძღვებოდა ბიზნესს. 1968 წელს კი დააარსა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა კვლევის დასახმარებელი ფონდი.

ჰაავო წერიმი ფინელების ეროვნული სიამაყეა. ჰელსინკის ერთ-ერთი ღირსესანიშნავი და დიდებული მორბენლის სკულპტურა, რომელიც ჰაავო წერიმს სიცოცხლეშივე დაუდგეს — ასეთი პატივი ბევრს არ რგებია. ეს სკულპტურა 1924 წელს შექმნა ფინელმა მოქანდაკე ვანე აალო-ტონენმა.

მოამზადა ნიკა კორინთელმა



ამერიკელი მსახიობი «ოსკარის» ხარამონიაზე კაბით გამოხსნა

ამერიკელი მსახიობი და მომღერალი
ბილი პორტიერი პრემია „ოსკარის“
დაჯილდოების ცერემონიაზე მდიდრულ
კაბაში გამოხსნა.

როგორც The Hollywood Reporter-ი წერს, ეს კაბა შექმნა ამერიკელმა მოდელიერმა **ქრისტინა სირიანო** — პოპულარული პროექტის, „პოდუმი“ ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებულმა. მსახი-

ობმა კი სამოსელს მოკლე პიჯაკი და პეპელა დაუმატა. ბილი პორტიერი თამაშობს სერი-ალებში: „საშინალებების ამერიკული ისტორია“, „პიზა“ და „კანონი და წესრიგი“.



ოკინავას მსოფლიოში ამერიკული სამხედრო ბაზის წინააღმდეგობა

„ოკინავას პრეფექტურაში გამართული
რეფერენდუმის შედეგების მიხედვით,
ადგილობრივი მოსახლეობის 72% კუნძულის
ტერიტორიაზე ახალი ამერიკული ბაზის
წინააღმდეგობა. ამ ბაზაზე უნდა გადაეტანათ
ფუტემის ბაზა“, — იუნგუბა „ვაშინგტონ პოსტი“.

ამერიკული გამოცემა „ვაშინგტონ პოსტი“ რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით წერს, რომ ეს თავის ტყვიულად იქცევა როგორც აშშ-ის, ისე იაპონიის ხელისუფლებისთვის. იაპონიის კუნძულ ოკინავაზე მდებარეობს აშშ-ის ახალი სამხედრო ბაზის აშენების იდეა. ახალი ბაზის რეგონში იქ ამერიკული სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობა 54 ათასს აღწევს. ამერიკელები ამბობენ, რომ მათი ყოფნა კუნძულზე საჭიროა არა მხოლოდ იაპონიის თავდაცვისთვის, არამედ მშვიდობის შესანარჩუნებლად რეგონში.

ოკინავას მოსახლეობის აზრით კი, პატარა კუნძულს უსამართლოდ აწევს იაპონიაში ამერიკული სამხედრო ბაზის ყოფნის ტვირთი. რეფერენდუმის შედეგების მიხედვით, ამომრჩეველთა 72%-მა უარყო აშშ-ის ახალი სამხედრო ბაზის აშენების იდეა ხენოკოში, ოკინავას ჩრდილოეთით, სადაც უნდა გადაეტანათ ფუტემის ბაზა. ამ გეგმის წინააღმდეგობა აცხადებენ, რომ იაპონიაში აშშ-ის სამხედრო ბაზის რაოდენობა მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს.

ბიორბი განიხილა

სკოლის მოსწავლე «ვაშინგტონ პოსტს» ხილისნაგავისთვის უჩივს და 250 მლნ დოლარს ითხოვს

ამერიკელმა სკოლის მოსწავლემ ნიკოლას
სენდმენმა გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“
წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა და
ცილისნაგავისთვის 250 მილიონ დოლარს
საუბარია „ვაშინგტონ პოსტის“ სტატიაზე,
რომელშიც ნათქვამია, რომ ნიკოლას
სენდმენმა საპროტესტო აქციაზე ერთ-ერთ
დემონსტრანტთან დაპირისპირება გამოიწვია.

ინციდენტი მოხდა 18 იანვარს აბორტების საწინააღმდეგოდ გამართულ მიტინგზე, რომელშიც სენდმენი და მისი თანაკლასელები მონაწილეობდნენ. გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ ფოტოზე ჩანს, როგორ დგას ნიკოლას სენდმენი ქუდი, რომელზეც აწერია „ამერიკა კვლავ დიადი გაგახადო“ ამერიკელი ინციდენტი — ნეიტან ფილიპის პი-

რისპირ. ფოტოს ქვეშ აღნიშნულ ინფორმაციიდან ირკვევა, რომ სენდმენი აგრესიულად მოექცა ფილიპსს და რასისტული საქციელი გამოამუშავა. ფილიპის განცხადებით, სენდმენი თავის მეგობრებთან ერთად ყვიროდა: „ავაშენოთ კედელი“, ამაში მექსიკასთან საზღვარზე კედლის მშენებლობა იგულისხმებოდა. თვითონ სკოლის მოსწავლე უარყოფს ამ ბრალდებებს და ამბობს, რომ მსგავსი რამ არც ერთ ჩანაწერში არ ისმის. სასარჩელო განცხადებაში ნათქვამია, რომ „ვაშინგტონ

პოსტმა“ ცილი დასწამა სკოლის მოსწავლეს, რითაც დონალდ ტრამპის წინააღმდეგ მიმართული სარედაქციო პოლიტიკა წინა პლანზე გამოიტანა. ადვოკატების თქმით, გაზეთში გამოქვეყნებული ფოტომასალის გამო ნიკოლას სენდმენი დევნის ობიექტი გახდა. „რათა ნიკოლასს სრულად აუნაზღაურდეს ზიანი და დაე-საჯოთ გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“, აღნიშნული საქმე მოითხოვს 250 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურებას“, — ნათქვამია სასარჩელო განცხადებაში.



გუაიდო ვენესუელიდან გაიქცა

23 თებერვალს თვითმარქვია გუაიდომ მასობრივი
აქცია დანიშნა. ამ საბედისწერო თარიღს ყველა
გულის ფანცქალით ელოდა, რადგან ყველაფერი
შეიძლებოდა ისე მომხდარიყო, როგორც კიევში,
მაიდანზე „უცნობი სნაიპერების“ გამოჩენისას,
მაგრამ პროცესები მოულოდნელად განვითარდა.

დაპირებული აქცია არ ჩატარდა, გუაიდო კი ქვეყნიდან გაიქცა, ჯერ — კოლუმბიაში, საიდანაც აშშ-ის მხარდაჭერით გემით დაიქვედნა ვენესუელის საზღვრის „გარღვევას“ და პუბლიცისტური დახმარების საბაბით უცნობი ტვირთით სავსე ავტომობილების შემოყვანას. ეს არ გამოუვიდა, იმიტომ, რომ ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტი ნიკოლას მადურო სამართლიანად შიშობს: პუბლიცისტური დახმარების „ფუტლიარში“ შეიძლება აღმოჩნდეს იარაღი თვითმარქვია პრეზიდენტის მომხრეებისთვის და დაიწყოს შეიარა-

ღებული აჯანყება. ისე, მართლა გაუგებარია სიჯიუტე იმ ძალებისა, რომლებიც აპატიმრებენ ვენესუელის უდიდესი სანავთობე კომპანიის საბანკო აქტივებს, აგრეთვე, ოქროს ზოდებს — სახელმწიფოს ფინანსურ რეზერვს ვენესუელის ეკონომიკისთვის ასეთ რთულ მომენტში. პარალელურად კი ფარისევლურად ყველას მოუწოდებენ, რომ ფქვილითა თუ კიდევ სხვა რამით დატვირთული 4 ავტომობილი აუცილებლად უნდა შევიდეს ვენესუელიდან კოლუმბიაში, მაგრამ ვინ დაიჯერებს, რომ ეს განზრახვა



გულწრფელია?! ასეა თუ ისე, ვენესუელის გარეთ მოხეტიალე გუაიდო უცხოელ დიპლომატებთან შეხვედრასა და ვაშინგტონში ჩაფრენას გეგმავს, ალბათ, ახალი ინსტრუქციისთვის.

ვენესუელაში კი კანონიერი პრეზიდენტი მადურო ინარჩუნებს მართვის სადავეებს. მადუროს მხარს უჭერს არმია. მოამზადა ნიკა კორინთელმა



გასულ წელს ავღანეთში მოსახლეობის ჩაკორდული რაოდენობა დაიწვა

ავღანეთში 2018 წლის განმავლობაში სამხედრო მოქმედებების შედეგად, რეკორდულად დიდი რაოდენობა — 3804 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, 7189 კი დაშავდა. აღნიშნულია გაეროს მისიის (UNAMA) მოხსენებაში. მოხსენების თანახმად, გასულ წელთან შედარებით, გარდაცვლილთა რაოდენობა 11 %-ით გაიზარდა. ამგვარად, გარდაცვლილთა საერთო რაოდენობამ 11 ათასი აღამიანი შეადგინა. უმეტესობა — 63 % ანტისამთავრობო ძალების შეტაკებების გამო დაიღუპა.

საქართველო
თუ გზურთ, გაზეთი „საქართველო“ და მსოფლიო მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შვიდკვირით დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„ჯეიმედი“ — ტელ: 593 209 526
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

ქველ-სახსართო პათოლოგიის და გასწავლა-გასწავლის ცენტრი

კოქსარტოზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატიოიდიული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და ცვცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციო სახსრებზე უახლესი მეთოდებით.
ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.
გახდობა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მონესრიგებით, ქოლესტერინისგან განმეწმით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: ნაჩეთლის №142, I სართ.
კაბინატი №6. ქალაქი ქუთაისი

www.geworld.ge
საქართველო
ესტუბრეტი
რეინს სანიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეჯია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ექირსებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს. მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6 ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009